# ხელშეკრულება

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-17/09/2015

ქ. თბილისი 17 სექტემბერი, 2015 წ.

ერთი მხრივ, შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი" (მდებარე ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის N6) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის დავით მაჭავარიანის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", მეორეს მხრივ, მხრივ შპს „დაგი" ს/კ 205022134 მდებარე ქ. თბილისი, მიცკევიჩის 29. მე-2 და მე-3 კორპუსი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ შარანგიას სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი", შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე", ორმხრივი შეთანხმებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის N1572 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომლიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ექსპერტი" – სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებული ნებისმიერი პირი;

1.8 „ზედამხედველი" - შემსყიდველის წარმომადგენელი მიმწოდებელთან ურთიერთობაში, რომელიც განახორციელებს სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას, სამუშაოების (შესრულებული ან/და შესასრულებელი) საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენას და სხვა ფუნქცია/მოვალეობებს შემსყიდველის დავალების შესაბამისად.

1.9 „ქვეკონტრაქტორი" - პირი, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.;

1.10 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

### . ხელშეკრულების საგანი

2.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრისა და საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები (შემდგომში – სამუშაოები). სამშენებლო მოედანი მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ.რუხში (მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 43.10.42.154; 43.10.42.170; 43.10.42.177; 43.10.42.178; 43.10.42.189; 43.10.42.192; 43.10.42.195; 43.10.42.196; ) (**CPV-** 45200000):

2.2 დეტალურ სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1-ში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 13, 728, 251. 11 (ცამეტი მილიონ შვიდას ოცდარვა ათას ორას ორმოცდათერთმეტ ლარს და თერთმეტ თეთრს) ლარს, ხელშეკრულების დანართი #1 ის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად გაწეული სამუშაოების მიხედვით, ექსპერტის და ზედამხედველის დასკვნის შესაბამისად;

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ისე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

3.6. შემსყიდველის მიერ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები.

## 4. მიმწოდებლის ვალდებულება და უფლებამოსილება

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

4.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და დაასრულოს არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

4.1.2 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება შენობის პროექტისა და დანართი № 1 ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

4.1.3 შენებლობის მიმდინარეობის პროცესში წარმოშობილი აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში შენობის პროექტში შესატანი ნებისმიერი ცვლილება წინასწარ (ასეთი ცვლილებით გამოწვეული სამუშაოების დაწყებამდე) უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4.1.4 განიხილოს შემსყიდველის საფუძვლიანი პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.5 მიიღოს და მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს და შემსყიდველს შეუთანხმოს სამუშაოების დროს გამოსაყენებელი მასალების ან/და მოწყობილობის ნიმუშები და შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები, აგრეთვე ყველა ის ნებართვა რომელიც რომელიც გამოიყენება მოცემული ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების შესრულებისას, თუკი ასეთ სერთიფიკატებს, ლიცენზიებს და ნებართვებს ითხოვს საქართველოს კანონმდებლობა;

4.1.6 სამუშაოების მიმდინარეობისას მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიმართოს ინსპექტირების ჯგუფს, რათა ერთობლივად შეიმუშაონ შესაბამისი მოქმედების ინსტრუქცია;

4.1.7 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით „შემსყიდველთან";

4.1.8 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.9 საკუთარი ძალებითა და ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მოედანი მშენებლობის წარმოებისთვის საჭირო ელექტო ენეგრიით, წყლით და სხვა საჭირო კომუნიკაციებით, რაც აუცილებელია მშენებლობის შეუფერხებლად და სრულფასოვნად განხორციელებისთვის.

4.1.10 უზრუნველყოს სამშენებლო მოედანი პირველადი სასწრაფო დახმარებისათვის საჭირო ინვენტარით.

4.1.11 მშენებლობის ადგილზე, უზრუნველყოს ზედამხედველი სათანადო სამუშაო ოფისით მინიმალური ინვენტარით და გარე კომინიკაციებით (დენი, წყალი, ინტერნეტი).

4.1.12 მიაწოდოს ზედამხედველს სამუშაოების მოცულობების, მასალების რაოდენობის და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები;

4.1.13 დაუშვას ზედამხედველი და შემსყიდველის მიერ მოწვეული ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი სამშენებლო მოედანზე და მასალებთან, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემოწმებისათვის, ასევე უსაფრთხოების ნორმებთან და მშენებლობის პრაქტიკასთან შესაბამისობის დადასტურებისათვის;

4.1.14 მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ზედამხედველს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ინფორმაცია;

4.1.15 დაასწროს ზედამხედველი მასალების შემოწმებას და შეასრულოს ზედამხედველის მიერ მითითებული სხვა მოქმედებები საჭიროების შემთხვევაში;

4.1.16 წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები (ასეთის არსებობისას), გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად;

4.1.17 ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, შედგენილი იქნას შესაბამისი ფარული სამუშაოების აქტები შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

4.1.18 უზრუნველყოს ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების ფორმა #2-ის წარმოდგენა ზედამხედველის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნების სახით.

4.1.19 ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში შემსყიდველს და ზედამხედველს შესათანხმებლად წარუდგინოს მშენებლობის მობილიზაციის გეგმა.

4.1.20 ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში შემსყიდველს და ზედამხედველს შესათანხმებლად წარუდგინოს სამუშაოთა წარმოების დეტალური სამუშაო გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამუშაოთა ჩამონათვალს, მათი დაწყებისა და დასრულების თარიღებს, მუშა-ხელის ოდენობას და ინფორმაციას მათი სპეციალიზაციის შესახებ, მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკისა და მოწყობილობების ჩამონათვალს მათი გამოყენების ვადების მითითებით.

4.1.21 წარმოადგინოს ყოველკვირეული ანგარიში შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

4.1.22 აწარმოოს ყოველდღიური სამუშაოების აღრიცხვის ყოველდღიური ჟურნალი.

4.1.23 სამშენებლო მოედანზე სამუშაოს შესრულების დროს დაიცვას ტექნიკური, შრომის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და გარემოს დაცვის წესები.

4.1.24 მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეათანხმოს შემსყიდველთან ცალკეული სამუშოების შესრულების მიზნით ქვეკონტრაქტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე თუ მოცემული ხელშეკრულების ფასი აღემატება 200 000 (ორასი ათას) ლარს;

4.1.25 პასუხისმგებლობა ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და ვადებზე ეკისრება მიმწოდებელს.

4.1.26 მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა და სრულად დაიცვას სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ყველა ღონისძიება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მატერიალური და ფიზიკური ზიანი ან დანაკარგი. იგი პასუხისმგებელია სამუშაობის უსაფრთხოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე.

4.1.27 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

წარუდგინოს შემსყიდველს წინასწარი ანგარიშწორების ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 25%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას.

5. შემსყიდველის ვალდებულება და უფლებამოსილება

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდევინება უზრუნველყოს საავანსო საბანკო გარანტიის ამოქმედებით ან/და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ამოქმედებით ან/და მიმწოდებლისგან თანხის გადახდევინებით.

6. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია:

6.1 შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი სრულად უნდა პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

6.2. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს: 1) სამშენებლო სამუშაოებზე (გარდა სანტექნიკური, ელექტრო–ტექნიკური და გათბობა–გაგრილების ნაწილებისა) 3 (სამი) წელი; 2) სანტექნიკური ნაწილი, ელექტრო–ტექნიკური ნაწილი, გათბობა–გაგრილების ნაწილზე 5 (ხუთი) წელი. საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.3. ამ მუხლის 6.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს ხელშეკრულების დანართი №1 ით გათვალისწინებული სამუშაოების, საქონლის ან/და მომსახურების დაზიანების/ხარვეზის შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით ეცნობება მიმწოდებელს. შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას (არაუმეტეს 20 დღე) დეფექტების აღმოსაფხვრელად.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

7.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (ზედამხედველი, წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, შედგება შესაბამისი დეფექტური აქტი და მიმწოდებელს განესაზღვრება გონივრული ვადა (არაუმეტეს 20 დღე) დეფექტების აღმოსაფხვრელად. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს წუნი თუ წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალით ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას შეთანხმებულ ვადაში და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულების შემსყიდველისთვის შეთანხმებული ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში დაბრუნება.

7.3 შემსყიდველის მხრიდან გამოყოფილი იქნება ხელშეკრულების მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და შესყიდვის ობიექტის შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირი.

7.4. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ინსპექტირების ჩატარების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურება უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია.

## 8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესრულებული სამუშაოს დადასტურება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის წერილობითი გაფორმებით, მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელის მოწერით და შესრულებული სამუშაოების ფორმა №-2-ის საფუძველზე (რომელიც წარმოდგენილი იქნება ზედამხედველის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის სახით). თითოეული წარმოდგენილი შუალედური შესრულებული სამუშაოს მოცულობა არ უნდა იყოს 200 000 (ორასი ათას) ლარზე ნაკლები.

## 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, შემსყიდველი ახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.3. წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 25%-ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას შემსყიდველი გადაიხდის მისთვის, როგორც აღნიშნული გარანტიის ბენეფიციარისთვის საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში. ფაქტობრივად მიწოდებული სამუშაოების ღირებულების 25% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დანარჩენი 75% – ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების შესაბამისი ეტაპების მიხედვით, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა #2-ის (რომელიც წარმოდგენილი იქნება ზედამხედველის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნების სახით), და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშო დღისა;

9.5. საავანსო საბანკო გარანტიაში ბენეფიციარად მითითებულ უნდა იქნას შპს „„რუხის სავაჭრო ცენტრი“ (შემსყიდველი).

9.6. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმით (დანართი №2).

9.7 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე რომელიც შედგენილი იქნება ექსპერტის მიერ გაცემული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დასკვნის საფუძველზე. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

9.8 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზვღრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით 4.1 „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, მაგრამ პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს.

11.2. პუნქტი 6.3 და 7.2-ით გათვალისწინებული გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადა და 8.1 პუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველის მიერ გახარჯული დრო.

## 12. საავანსო საბანკო გარანტია

12.1 შემსყიდველისთვის საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღეში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადას.

12.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს საავანსო საბანკო გარანტიის თანხის ღირებულების სამუშაოს შესრულებას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

## 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარუდგინოს უპირობო და გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია. წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ოდენობით, გარანტიის გამცემი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ბანკი.

13.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ ორი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

13.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განხორციელებული გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობით შემსყიდველისათვის მიყენებული და საგარანტიო თანხით აუნაზღაურებელი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

13.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიაში ბენეფიციარად მითითებულ უნდა იქნას შპს „„რუხის სავაჭრო ცენტრი" (შემსყიდველი).

13.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმით (დანართი №2).

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი გაკოტრდა;

ბ) მიმწოდებლის მიერ სამშენებლო გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი ეტაპის ვადის 20 დღეზე მეტი დაგვიანების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდა, მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების უნდა შეწყვიტოს დაუყოვნებლივ, სამშენებლო მოედანი მიიყვანოს უსაფრთხო და დაცულ მდგომარეობაში და დატოვოს იგი რაც შეიძლება გონივრულად მოკლე ვადაში.

## 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

15.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, გარდა მე-6 მუხლის, 11.3 და 7.2 პუნქტებისა.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლი, 11.3 და 7.2 პუნქტები მოქმედებს 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადით.

## 17. ფორს-მაჟორი

17.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

17.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს:

ა) ომით, დაპირისპირებით (იმის მიუხედავად, ომი იქნება გაცხადებული, თუ გამოუცხადებელი), ინტერვენციით, უცხოელ მტერთა ქმედებით;

ბ) აჯანყებით, ტერორიზმით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპიპრებული ძალაუფლებით, ან სამოქალაქო ომით;

გ) სამხედრო აღჭურვილობით, ასაფეთქებელი მასალებით, იონური რადიაციით ან რადიაციული დაბინძურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად მიმწოდებელი იყენებს ასეთ აღჭურვილობას, ასაფეთქებელ მასალებს, რადიაციას ან რადიო-აქტიურობას;

დ) ბუნებრივი კატასტროფებით;

ე) ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

17.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## მუხლი 18. დავების მოგვარების წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი - საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

19.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც.

19.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე მიმწოდებელს.

19.4. წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს შემდეგი დანართები:

- დანართი #1 - დეტალური სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;

- დანართი #2 - საავანსო და შესრულების საბაკო გარანტიის ფორმები;

19.5. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

## 20. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| შპს ,,რუხის სავაჭრო ცენტრი" | შპს „დაგი" |
| ქ. თბილისი ვუკოლ ბერიძის N6 | ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ.№29, მე-2 და მე-3 კორპ. |
| ბანკი: სს ლიბერთი ბანკი | ბანკი: სს რესპუბლიკა ბანკი |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი: REPLGE22 |
| GE38LB0113179013303000 | ანგ. N GE35BR0000003605100043, |
| დირექტორის მოადგილე | დირექტორი |
| დავით მაჭავარიანი | მიხეილ შარანგია |

დანართი #1

# რუხის სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დეტალური პროექტი, სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა

# საავანსო და შესრულების საბანკო გარანტიების ფორმები

## ავანსის გარანტია

| | |
|---|---|
| გარანტი: | **გარანტის სახელწოდება** |
| პრინციპალი : | **პრინციპალის სახელწოდება**<br>პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: ---------- |
| ბენეფიციარი : | **ბენეფიციარის სახელწოდება** |
| გარანტიის თანხა : | ---------- |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | "ბენეფიციარსა" და „პრინციპალს" შორის 201- წლის (რიცხვი, თვე) გაფორმებული ხელშეკრულება. |
| გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა: | გარანტია ძალაში შედის საავანსო თანხის (ან მისი ნაწილის) პრინციპალისათვის შემდეგ ანგარიშზე ---------- - გადარიცხვისთანავე. |
| გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, აგრეთვე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან ნამდვილობის მიუხედავად, "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე) მიღებიდან სამი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის საფუძველი: | "გარანტი"-ს მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება, თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი იქნება „ბენეფიციარის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით გარანტიის ვადის ამოწურვამდე. თუ პირველი მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის ამოწურვამდე და გარანტიის თანხა არ არის გაცემული, ხელმეორე მოთხოვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც აზუსტებს ან იმეორებს პირველ მოთხოვნას „გარანტს" უნდა წარედგინოს წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კლენდარული დღის ვადაში და შესაბამისად აღნიშნული ხელმეორე მოთხოვნა (**„დამატებითი ვადა"**) ვადაში გაგზავნილად ითვლება (მიუხედავად მისი გაგზავნის თარიღისა) და ექვემდებარება ანაზღაურებას. |
| საგარანტიო თანხის შემცირება: | საგარანტიო თანხა მცირდება „პრინციპალის" ვალდებულების შესრულების პროპორციულად, თუ ეს დადასტურებულია „ბენეფიციარის" მიერ პირდაპირ ბანკისათვის წერილობით (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით). |

| | |
|---|---|
| **გარანტიის მოქმედების ვადა :** | --------- - მდე და ამ დღის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე, ამ თარიღის ჩათვლით აგრეთვე, ზემოთ მითითებული შემთხვევისას (**„გარანტიის თანხის მოთხოვნის საფუძველი"**) **„დამატებით ვადაში"**.თუ გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღე ემთხვევავა არასაბანკო დღეს, ვადა ავტომატურად გრძელდება მომდევნო საბაკო დღის ჩათვლით. |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## შესრულების გარანტია

| | |
|---|---|
| გარანტი: | **გარანტის სახელწოდება** |
| **პრინციპალი :** | **პრინციპალის სახელწოდება**<br>პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: ---------- |
| **ბენეფიციარი :** | **ბენეფიციარის სახელწოდება** |
| **გარანტიის თანხა :** | ---------- |
| **გარანტიის გაცემის საფუძველი :** | "ბენეფიციარსა" და „პრინციპალს" შორის 201- წლის (რიცხვი, თვე) გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა. |
| **გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:** | გარანტია ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე. |
| **გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულ** | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, აგრეთვე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან ნამდვილობის მიუხედავად, "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე) მიღებიდან სამი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა. |
| **გარანტიის თანხის მოთხოვნის საფუძველი:** | "გარანტი"-ს მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება, თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი იქნება „ბენეფიციარის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით გარანტიის ვადის ამოწურვამდე. თუ პირველი მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის ამოწურვამდე და გარანტიის თანხა არ არის გაცემული, ხელმეორე მოთხოვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც აზუსტებს ან იმეორებს პირველ მოთხოვნას ვადაში გაგზავნილად ითვლება (მიუხედავად მისი გაგზავნის თარიღისა) და ექვემდებარება ანაზღაურებას. |

| | |
|---|---|
| **საგარანტიო თანხის შემცირება:** | საგარანტიო თანხა მცირდება „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შესაბამისად „გარანტის“ მიერ „ბენეფიციარისათვის“ გადახდილი თანხით. |
| **გარანტიის მოქმედების ვადა :** | --------- - მდე და ამ დღის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ “ბენეფიციარის“ მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე და ამ თარიღის ჩათვლით. თუ გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, ვადა ავტომატურად გრძელდება მომდევნო საბაკო დღის ჩათვლით. |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი “ბენეფიციარის” წერილობითი მოთხოვნა (არ არის სავალდებულო მოთხოვნა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დარღვევებზე), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.